თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2909684

ნომერი: AR1449459

თარიღი : 17.10.2016

გაცემის თარიღი : 25.10.2016

გაცნობის თარიღი : 26.10.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი,ქუჩა აკაკი ბელიაშვილის N87;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ მამულაშვილი პ/ნ 01008050892
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 1, ბინა 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თქვენს შემთხვევაში ნომენკლატურა არასწორად არის არჩეული, კერძოდ "კორექტირების" ნაცვლად უნდა აგერჩიათ "ახალი მშენებლობა". ვინაიდან ნომენკლატურა არასწორად იქნა არჩეული, წინამდებარე AR1449459 განცხადება დარჩება განუხილველი.

ახალი განაცხადის ატვირთვისას გაითავლისიწინეთ:

1. თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის საერთო ხედის აღქმის და ამის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ შორი მანძილიდან, სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ერთიანი ფოტომასალა (და არა ფრაგმენტალური, როგორც ეს წარმოდგენილი გაქვთ), სადაც ნათლად გამოჩნდება მთლიანი, ირგვლივ არსებული სიტუაცია და ასევე მათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის ჩვენებით. აქვე გაითვალისწინეთ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად : მუხლი 18. 10. ა) განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.

2. არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო მიწის ნაკვეთი/ან ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში) ან შესაძლებელია მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. შესაბამისად, თქვენს შემთხვევაში წარმოსადგენია შპს "მეხიკო"-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მარინე ლეთოდიანის მინდობილობა ან თანხმობა გაცემული თქვენს სახელზე, ან შესაძლებელია შპს "მეხიკო"-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მარინე ლეთოდიანი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge